**სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს**

**მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/05**

**(ოქმი N6)**

ქ. ბათუმი 28 თებერვალი 2023 წ

**ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N02-19/560 წერილის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, 2023 წლის 22 თებერვლის N01-19/560 წერილით გათვალისწინებული პირობებით, მაუწყებლის შენობების შეიარაღებული დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გააფორმოს ხელშეკრულება, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვროს თვეში 19 920 ლარით, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 199 200 ლარით, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდების ვადა - 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი